

2011 წლის 21 ოქტომბერი
ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის
ოქმი

21 ოქტომბერი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:40

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ქეთევან ბექაური, ნოდარ ფეიჭიშვილი, ზვიად კორძაძე, გონა სვანიძე, ცისმარი ონიანი

დღის წესრიგი:

1. კომპანია “One IT” –ის მიერ შემუშავებული ადვოკატთა რეესტრის და კეის-მენეჯმენტის სისტემის პროექტის პრეზენტაცია;
2. საწევროგადაუხდელ ადვოკატთა უფლებამოსილების შეწყვეტა;
3. გიგ. სისტემის კონცეფციის შესახებ მსჯელობა და დამტკიცება;
4. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცება;
5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების შესახებ მსჯელობა;
6. ადვოკატის დღესთან დაკავშირებით მსჯელობა;
7. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
8. სხვადასხვა

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა :

1. დამტკიცებულ იქნას კომპანია “One IT” –ის მიერ შემუშავებული ადვოკატთა რეესტრის და კეის-მენეჯმენტის სისტემის პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით;
2. ა/ 2011 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს კანონის « ადვოკატთა შესახებ » 21³ მუხლის 1 პუნქტის “ზ”-ქვეპუნქტის შესაბამისად, შეუწყდეთ უფლებამოსილება ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს, რომლებსაც ერიცხებათ დავალიანება საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო.
3. დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის კონცეფცია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი №1);

4. დამტკიცდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით.
5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების ჩატარების თარიღად დადგინდეს 2011 წლის 10-11 დეკემბერი.
6. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე;

ა). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის** (ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველებია), **“ბ”** ქვეპუნქტის თანახმად (მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი), **იაკობ მაჩხანელის, თამაზ ნათაძის და გიორგი არველაძის** განცხადებები ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

ბ) საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **მე-10 მუხლის, “გ”** ქვეპუნქტის თანახმად (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი), **გურამ გენგაშვილის** განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, **“დ”** – ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა საკუთარი მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადის (2011 წლის 25 აგვისტო) დასრულების გათვალისწინებით, **თეიმურაზ ხუხუნაიშვილის, ირა კუკულაძის, ირინე გორგიძის, ია გამცემლიძის, ჯემალ ნათელაშვილის და ნაირა ჯუკაშვილის** განცხადებები საწვევრო გადასახადის გადავადების მოთხოვნით არ იქნას განხილული.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე